სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 02

2019 წ. "08" 01

ქ.თბილისი

შპს სკოლა ქართულის ავტორიზაციის საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ

შპს სკოლა ქართულის სააპელაციო საჩივრის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 ნოემბრის N 72 გადაწყვეტილების შესწავლისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე - 3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^7 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს სკოლა ქართულის (ს/კ 445387778) ავტორიზაციის საკითხი

2. სააპელაციო საბჭოს 2019 წლის 8 იანვრის N 1 სხდომის ოქმი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

თავმჯდომარე
ნოდარ პაპუკაშვილი

მდივანი
დევი ხვედელიანი